

ნარკოპოლიტიკა საქართველოში

2019 წლის ტენდენციები



ნარკოპოლიტიკა საქართველოში

2019 წლის ტენდენციები

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“

2020

ანგარიში მომზადებულია ღია საზოგადოების ფონდების (OSF) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

ანგარიშის ავტორი: ანა ნასრაშვილი

ანგარიშზე პასუხისმგებელი: გურამ იმნაძე

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

სარჩევი

შესავალი	5
მეთოდოლოგია.....	6
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები	7
I. ნარკოდანაშაულის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი	11
1. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამამტყუნებელი განაჩენის სტატისტიკა	13
2. საპროცესო შეთანხმებით განხილულ ნარკოტიკულ დანაშაულთა სტატისტიკა.....	16
3. ნარკოტიკული დანაშაულის დამატებითი სასჯელები	17
4. ნარკოლოგიური შემოწმების სტატისტიკა	18
5. ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა	20
II. საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება და მისი პრაქტიკული გამოყენება	21
1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტაცია	21
2. საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების პრაქტიკული გამოყენება	23
III. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....	25
1. ოპერატიული ინფორმაცია.....	26
2. პირადი ჩხრეკის ოქმი.....	27
3. ჩხრეკის მოწმე პოლიციელები და სხვა პირები	28
4. ბიოლოგიურ-გენეტიკური ექსპერტიზა	29
IV. დასკვნა	29

შესავალი

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ნარკოპოლიტიკის სფეროში 2019 წელს არსებული ძირითადი ტენდენციების, სასამართლო პრაქტიკისა და სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა. ამ ანგარიშით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) აგრძელებს ნარკოპოლიტიკის საკითხებზე არსებული სისტემური გამოწვევების დოკუმენტირებას, წინა წლების პრაქტიკასა და ვითარებასთან მათი შედარების და პოლიტიკის ძირეული ცვლილების ხელშეწყობისათვის.

როგორც ცნობილია, ხელისუფლებამ ამ დრომდე არ გამოხატა პოლიტიკური ნება, ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებებით ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკის შემოღების თაობაზე. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მოქმედი კანონმდებლობა, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა კვლავაც ნარკოპოლიტიკის თვითნებური და უსამართლო გამოყენების რისკებს შეიცავს.

2019 წელს, ნარკოპოლიტიკის სფეროში, საკანონმდებლო ცვლილებები არ განხორციელებულა. ნარკოპოლიტიკის საკითხზე მუშაობა არ მოხვდა გასული წლის სამთავრობო ცვლილებების პერიოდში შემუშავებულ 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში¹, რამაც დამატებით აჩვენა ხელისუფლების დამოკიდებულება, პოლიტიკურ დღის წესრიგში ნარკოპოლიტიკის თემის არარსებობის თაობაზე. დღემდე არ ამოქმედებულა ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, რომლის შექმნის ვალდებულება ხელისუფლებამ 2015 წელს ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო² და რომლის ფუნქცია ქვეყანაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი უნდა იყოს.

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია ნარკოტიკულ დანაშაულებზე მართლმსაჯულების სფეროში არსებული მდგომარეობა, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის

¹ იხ. 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NKBKSe>.

² საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, პუნქტი 205.

გადაწყვეტილების პრაქტიკული გამოყენების საკითხები. ამ ანგარიშით, EMC აფასებს ნარკოპოლიტიკის შეჩერებული რეფორმის ფონზე პრაქტიკაში არსებულ სამართლებრივ მიდგომებსა და ნარკოპოლიტიკის საკითხებზე გასული წლის სტატისტიკურ მონაცემებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ანგარიშში ნაჩვენები ტენდენციები და შეფასებები დაეხმარება ნარკოპოლიტიკის ძირეულ რეფორმაზე პოლიტიკური დისკუსიების განახლებას და ამ სფეროს ჰუმანურ სამართლებრივ ინსტრუმენტების შემოღებაში.

მეთოდოლოგია

ანგარიშის მიზნებისთვის, EMC-იმ გააანალიზა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება და 2018-2019 წლების სტატისტიკური მონაცემები. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ასევე დამუშავდა 2019 წელს, საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული შემთხვევითად შერჩეული განაჩენები.

სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია

კვლევისთვის მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაცია EMC-იმ გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან. მოთხოვნილი და დამუშავებული ინფორმაცია შეეხება, 2019 წელს, ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის და გამამტყუნებელი განაჩენების სტატისტიკურ მონაცემებს, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა რაოდენობრივ მაჩვენებელს, ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის პენიტენციურ დაწესებულებებსა და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ პირთა სტატისტიკას.

სასამართლო პრაქტიკა

საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა 2019 წელს ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული განაჩენები. მათი შესწავლა მიზნად ისახავდა ნარკოტიკულ დანაშაულებზე წლების განმავლობაში დამკვირდებული მიდგომების ცვლილებების შეფასებას. ამ მიზნით,

დამუშავდა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების 40 გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის სისხლის სამართლის საქმეებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გაანალიზდა ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა შესწავლის მიზანი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პრაქტიკული აღსრულების საკითხების გამოკვეთა იყო.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ნარკოპოლიტიკის სფეროში 2019 წელს გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები და პრობლემური საკითხები:

- ნარკოპოლიტიკის რეფორმის პროცესი გაურკვეველი ვადით შეჩერებულია და ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგში არ დგას ნარკოპოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა; ეს საკითხი არ შესულა 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში, რაც დამატებით აჩვენებს ნარკოპოლიტიკის რეფორმასთან დაკავშირებით ხელისუფლების გულგრილ დამოკიდებულებას;
- 2019 წელს გაზრდილია ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ასევე თავისუფლების აღკვეთის გამოყენება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საწყისი ან დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენის და შენახვის შემთხვევებზე;
- გაიზარდა ნარკოტესტირებაზე გადაყვანილ პირთა რაოდენობა, ასევე მცირედით გაიზარდა დადებითი პასუხის მაჩვენებელი გადაყვანილ პირთა ექსპერტიზის შედეგებში. მიუხედავად ამისა, ნარკოტესტირებაზე გადაყვანის სამართლებრივი საფუძვლები და გადაყვანილ პირთა უფლებრივი მდგომარეობა კვლავაც კრიტიკის საგანია;
- 2018 წელთან შედარებით, გაზრდილია საპროცესო შეთანხმებით ნარკოტიკულ დანაშაულთა დასრულების სტატისტიკური მონაცემები;
- დღემდე არ ამოქმედებულა ნარკოვითარების მონიტორინგის ცენტრი, რომლის შექმნის ვალდებულებაც სახელმწიფოს 2015 წლიდან აღებული აქვს;

- არ აღირიცხება ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული ისეთი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია ნარკოპოლიტიკის სფეროში პოლიტიკის რაციონალურად და სამართლიანად განსაზღვრისთვის. არ მუშავდება ნარკოტიკული დანაშაულისთვის თავისუფლებააღკვეთილთა და სხვაგვარად მსჯავრდებულთა რაოდენობის, გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებების სახეობების ამსახველი მონაცემები, საპროცესო შეთანხმებით განხილულ საქმეებზე სასჯელის სახით გამოყენებულ ჯარიმათა ოდენობები, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ოდენობისა და გამოყენებული სასჯელების სტატისტიკა;
- არ მუშავდება ინფორმაცია ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა მიმართ გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევების თაობაზე;
- უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები მარიხუანის თუ სხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებებით ამ სამართალდარღვევათა ერთმანეთისგან გამოიჯნის მიუხედავად, არ აღირიცხება ერთმანეთისგან განცალკევებულად, ასევე არ მუშავდება მარიხუანის მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირისთვის სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის მაჩვენებლები;
- პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის კომპეტენცია ნარკოტიკულ დანაშაულებზე სამოქალაქო უფლებების ვადამდე აღდგენასთან დაკავშირებით არ ვრცელდება ადმინისტრაციული წესით მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისგებაში მიცემულ პირთა მიმართ, რომელთა შემთხვევაში მოსამართლეს დისკრეციული უფლებამოსილება აქვს, 3 წლამდე შეუზღუდოს მათ სამოქალაქო უფლებები;
- კვლავაც სისტემურ გამოწვევად რჩება ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიების პროცესში ოპერატიული ინფორმაციის როლი. ძირითადი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ხდება. მისი სადავოდ გახდა/მის შინაარსზე წვდომა გამომძიებლის გარდა, სისხლის სამართლის პროცესის არც ერთ მონაწილეს არ შეუძლია;
- სასამართლოს მიერ დადგენილი მტკიცებულებითი სტანდარტი ნარკოტიკულ დანაშაულებზე იმდენად დაბალია, რომ პოლიციელთა შეთანხმებული ჩვენებები და

ნარკოტიკულ საშუალებაზე დანიშნული ქიმიური ექსპერტიზა გამამტყუნებელი განაჩენისთვის საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობად მიიჩნევა.

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრისათვის, EMC წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

საქართველოს პარლამენტს:

- განახლდეს 2017 წლის 22 ივნისს „საქართველოს ნარკოტიკის ეროვნული პლატფორმის“ ავტორობით და საქართველოს პარლამენტის წევრთა (ა. ზოიძე, ლ. კობერიძე, დ. ცეციტიშვილი, ს. ქაცარავა და ი. ფრუიძე) მიერ ინიცირებული №8700/2-1 კანონპროექტის განხილვა და მისი მიღებით გახდეს მოქმედი რეპრესიული ნარკოპოლიტიკა უფრო ჰუმანური;
- ნარკოპოლიტიკის სფეროს ძირეულ რეფორმამდე, მიღებულ იქნეს პოლიტიკური გადაწყვეტილება უსამართლო ან/და არაპროპორციული სასჯელებისგან მსჯავრდებულთა გათავისუფლების (ამნისტია/შეწყალება) შესახებ, როგორც შუალედური გადაწყვეტილება გარდამავალ პერიოდში. ამ მიზნით, საჭირო სამუშაოების ჩასატარებლად, პარლამენტში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების, ასევე ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მონაწილეობით.

საქართველოს მთავრობას:

- შეიქმნას ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი და დამუშავდეს ისეთი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც სახელმწიფოს დაეხმარება ნარკოტიკულ დანაშაულზე შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. მათ შორის, დამუშავდეს ნარკოტიკული დანაშაულისთვის პატიმრობაში მყოფთა, პირობითი მსჯავრდების ქვეშ მყოფ პირთა რაოდენობის, გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებების სახეობების ამსახველი მონაცემები, ინფორმაცია ნარკოტიკულ ნივთიერებათა ოდენობისა და გამოყენებული სასჯელების, ჯარიმების ოდენობების შესახებ, გამამტყუნებელ განაჩენთა სტატისტიკა, დანაშაულთა სახეობის მიხედვით;

საერთო სასამართლოებს:

- საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ახლად გამოვლენილი გარემოებით განაჩენთა გადასინჯვის დროს სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელოს არა სიტყვასიტყვითი, არამედ ლოგიკური განმარტებებით და გაავრცელოს გადაწყვეტილება მოხმარებისთვის უვარგისი ოდენობებით ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის მსჯავრდებულთა მიმართ;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, განაჩენთა გადასინჯვის დროს, სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ბრალდების მხარის მიმართ არსებული მტკიცების ტვირთი და ნარკოტიკული საშუალების ეფექტებთან დაკავშირებული შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, მსჯავრდებულთა ნაცვლად, ბრალდების მხარეს დააკისროს;
- უზენაესი სასამართლოს მიერ მარიხუანის და სხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები აღირიცხოს და დამუშავდეს ერთმანეთისგან განცალკევებულად; დამუშავდეს მარიხუანის მოხმარებისთვის უფლებების შეზღუდვის სტატისტიკური მონაცემები;
- შეჯიბრებითი პროცესის პირობებში, სამართალდამცავ პირთა ჩვენებები დაცვის მხარესთან მიმართებით არ შეაფასოს მაღალი სანდოობით და იხელმძღვანელოს სამართლიანი სასამართლოს პრინციპებით;
- გამკაცრდეს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული, გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების სანდოობის შემოწმების ხარისხი;
- ნარკოტიკულ დანაშაულზე მტკიცებულებათა შეფასების დროს, იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით მიიღოს გადაწყვეტილება, პირის ბრალეულობის შესახებ;

I. ნარკოდანაშაულის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი

ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება, წლების განმავლობაში გამოწვევას წარმოადგენს. დღემდე, სახელმწიფოში მოქმედი არც ერთი უწყება არ ფლობს სრულ ინფორმაციას ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული ისეთი სტატისტიკური მონაცემების შესახებ, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია ნარკოპოლიტიკის სამართლიანად და რაციონალურად განსაზღვრისთვის. ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2015 წელს აიღო ვალდებულება, ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის შექმნის თაობაზე. ცენტრის მთავარი ფუნქცია ქვეყანაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი უნდა ყოფილიყო³. ამ საკითხზე იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის ბრძანებით, განისაზღვრა ცენტრის დებულება და საქმიანობის ძირითადი მიზნები. ბრძანების თანახმად, ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი 2020 წლის პირველი მარტიდან უნდა ამოქმედდეს და მისი მთავარი მიზანი ქვეყანაში არსებული ნარკოვითარების, მათ შორის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარების ან/და უკანონო გავრცელების თაობაზე ინფორმაციის შეგროვება და შეფასება, აგრეთვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამეცნიერო-პრაქტიკული მეთოდოლოგიების დანერგვა იქნება.⁴

2019 წელს ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული მდგომარეობის შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია, ნარკოტიკულ დანაშაულებზე სხვადასხვა მიმართულებით არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ანგარიშის მიზნებისთვის ყურადღება გამახვილდა 2019 წელს:

- სისხლისსამართლებრივი დევნის დინამიკაზე;
- ცალკეულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებლებზე;

³ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, პუნქტი 205.

⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის №494 ბრძანება ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

- პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე;
- ადმინისტრაციული წესით ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის დასჯილ პირთა რაოდენობაზე;
- იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა სტატისტიკურ მაჩვენებლებზე;
- სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის თუ შეზღუდვის სტატისტიკაზე.

სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებაზე უარის გამო, კვლავაც უცნობია ინფორმაცია ნარკოტიკულ დანაშაულებზე ციხის პოპულაციის შესახებ, ვინაიდან სპეციალური პენიტენციური სამსახური სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკას არ აწარმოებს⁵. სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, ასევე შეუძლებელია იმის შესწავლა, თუ რა ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და შენახვისთვის ხვდებიან პირები საპატიმრო დაწესებულებებში.

2018 წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში არსებული სტატისტიკური მონაცემები ნარკოპოლიტიკის სხვადასხვა საკითხთან მიმართებით სახელმწიფოს აქტიურ მოქმედებებს აჩვენებს. გაზრდილია ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა რაოდენობა, ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი ნარკოტიკული საშუალების შეძენის, შენახვის, კულტივირების თუ მოხმარების დანაშაულებზე. ნარკოტიკულ დანაშაულზე მიღებულ გამამტყუნებელ განაჩენთა უმეტეს შემთხვევაში (დაახლოებით 89%) გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება. ნარკოტიკული დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პირებისთვის კვლავაც გამოწვევად რჩება დამატებითი უფლებების ჩამორთმევის მექანიზმი. ეს მექანიზმი, საანგარიშო პერიოდში, 1621 პირობითი მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენეს, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის კი, ეს შეზღუდვა პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ დაიწყებს მოქმედებას.

⁵ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პასუხი EMC-ის 2019 წლის გ01/568/2019 წერილზე.

1. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამამტყუნებელი განაჩენის სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში, სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის 4591 პირის მიმართ დაიწყო⁶. საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ ამავე ნარკოტიკულ დანაშაულებზე ჯამში, 3127 პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 11 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი⁷. საქმეთა დარჩენილ ნაწილზე სასამართლოს მიღებული არ აქვს საბოლოო გადაწყვეტილება.

სასამართლო სტატისტიკაში ნარკოტიკული საშუალების ოდენობის აღრიცხვის არარსებობის გამო, რთულია იმის დადგენა, მსჯავრდებულთაგან რამდენი იხდის თავისუფლების აღკვეთის სასჯელს მცირე (პირადი მოხმარების მიზნით) ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის⁸. 2019 წლის 10 თვის სტატისტიკით, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა, უმეტესწილად, გამოყენებულია ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და შენახვისთვის, სსკ-ის 260-ე მუხლით. უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთაგან, 258 მათგანს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ან მესამე ნაწილებით - ნარკოტიკული საშუალების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საწყისი ან დიდი ოდენობით ფლობისთვის არის გამოყენებული. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებათა დიდ ნაწილზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საწყისი ოდენობები განსაზღვრული არ არის⁹, მოხმარებისთვის უვარგისი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობაც, მოქმედი კანონმდებლობით¹⁰, დიდ ოდენობად ითვლება და 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთის გამოყენების საშუალებას იძლევა. ხსენებული 258 პირის მიმართაც, შესაძლოა თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდება ამ ტიპის ნარკოტიკული საშუალებების მინიმალური ოდენობების განუსაზღვრელობით იყოს განპირობებული.

⁶ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 26 ნოემბრის N13/82936 წერილი.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის N პ-1377-19 წერილი.


⁸ EMC, ნარკოპოლიტიკა საქართველოში - შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები, 2019, გვ. 34, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2REkhfd>.

⁹ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4¹ მუხლი.

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ნარკოტიკული დანაშაულისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უსამართლო და არაპროპორციული სასჯელების პარალელურად, ასევე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2019 წელს ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულთა მიმართ შეწყალების მექანიზმიც იშვიათად გამოიყენებოდა. პრეზიდენტის მიერ 2019 წლიდან დღემდე სულ შეწყალებული 96 პირიდან, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების, შეძენისა და შენახვისთვის მსჯავრდებული 7 პირი იქნა შეწყალებული.¹¹

ცხრილში ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული დანაშაულების სტატისტიკა. იგი ასახავს 2018-2019 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის, გამამტყუნებელი განაჩენისა და თავისუფლების აღკვეთის შედარებით რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ცალკეული დანაშაულების¹² მიხედვით.



¹¹ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2019 წლის 20 აგვისტოს N6775 წერილი; 2019 წლის 13 სექტემბრის N7375 წერილი; 2020 წლის 14 იანვრის N207 წერილი.

¹² გაანალიზებულია შემდეგი ნარკოტიკული დანაშაულების სტატისტიკური მაჩვენებლები:

სსკ-ის 260-ე მუხლი - ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა.

სსკ-ის 261-ე მუხლი - ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.


სსკ-ის 262-ე მუხლი - ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.

სსკ-ის 265-ე მუხლი - ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება.

სსკ-ის 273-ე მუხლი - ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება.

სსკ-ის 273¹-ე მუხლი - მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღება.

2018 წელთან შედარებით, 2019 წლის 10 თვის მონაცემები ცხადყოფს, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი გაზრდილია. დაახლოებით გაორმაგებულია სისხლისსამართლებრივი დევნა მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვისთვის, ასევე მცენარე კანაფის კულტივირებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შეძენისა და შენახვის შემთხვევებზე.




გასულ წელთან შედარებით, შემცირებულია გამამტყუნებელ განაჩენებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. თუ 2018 წელს გამამტყუნებელ განაჩენთა 24,7% დასრულდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებით, 2019 წლის 10 თვის მონაცემებით, ყველაზე მკაცრი სასჯელის შეფარდების მაჩვენებელი დაახლოებით 20%-ია და 615 მსჯავრდებულს შეადგენს¹³.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის N 3-1377-19 წერილი; EMC, ნარკოპოლიტიკა საქართველოში, გვ. 35.

2. საპროცესო შეთანხმებით განხილულ ნარკოტიკულ დანაშაულთა სტატისტიკა

ნარკოტიკულ დანაშაულებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში საპროცესო შეთანხმების წილი ყოველთვის მაღალი იყო. ეს ტენდენცია 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვითაც გრძელდება. 2018 წელთან შედარებით, გაზრდილია ნარკოტიკულ დანაშაულებზე საქმის არსებითი განხილვის გარეშე, საპროცესო შეთანხმებით დასრულების მაჩვენებელი და გამამტყუნებელ განაჩენთა დაახლოებით 89%, ბრალდებულსა და პროკურატურას შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმებით დასრულდა¹⁴. მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებასთან ერთად, საპროცესო შეთანხმების მაღალი წილი იმით არის განპირობებული, რომ საპროცესო შეთანხმება ნარკოტიკულ დანაშაულებზე კანონმდებლობით განსაზღვრული მკაცრი სასჯელებისგან გვერდის ავლის ერთადერთი შესაძლებლობაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში კანონით განსაზღვრულ უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის გამოყენება, ბრალდებისა და დაცვის მხარის შეთანხმებით დაიშვება.¹⁵

საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ხშირად, უკავშირდება იმ გარემოებასაც, რომ ამ შემთხვევაში, პირის მიმართ დამატებითი უფლებების შეზღუდვაზე ბრალდების მხარესთან მოლაპარაკება არის შესაძლებელი¹⁶.



¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის N 3-1377-19 წერილი.

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი.

¹⁶ EMC, ნარკოპოლიტიკა საქართველოში - შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები, 2019, გვ. 41, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2REkhfd>.

3. ნარკოტიკული დანაშაულის დამატებითი სასჯელები

ნარკოტიკული დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდება, ავტომატურად, იწვევს რიგი უფლებების ჩამორთმევას “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კანონით. გამამტყუნებელი განაჩენით ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის მსჯავრდებულ პირს 3 წლამდე ვადით ეზღუდება ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. მას, ასევე, ეკრძალება საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და იურიდიულ სფეროში საქმიანობის უფლება. ნარკოტიკული საშუალების შეძენის, შენახვის, გასაღებისთვის მსჯავრდების შემთხვევაში, ამ უფლებების ჩამორთმევა შესაძლებელია 5-დან 20 წლამდე ვადით¹⁷.

ნარკოტიკულ დანაშაულებზე უფლებების ჩამორთმევის ბლანკეტური წესის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის EMC-იმ საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ კიდევ 2015 წელს მიმართა. საქმის განხილვის დასრულების მიუხედავად, სასამართლოს, დღემდე, ამ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია¹⁸.

2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებით, სისხლისსამართლებრივ ქმედებასთან ერთად, მოსამართლის დისკრეციული გადაწყვეტილებით, უფლებების 3 წლით შეზღუდვა გავრცელდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახით მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის, მოხმარების ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევებზე.¹⁹

ანგარიშის მიზნებისთვის, საინტერესო იყო სტატისტიკური მონაცემების დამუშავება მარიხუანის ფლობასთან თუ მოხმარებასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე. ამგვარი მონაცემები არ აღირიცხება უზენაესი სასამართლოს მიერ²⁰.

სამართალდარღვევებზე უფლებების ჩამორთმევის მონაცემები არ მუშავდება არც სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც ამ საკითხს მხოლოდ პირობითი მსჯავრდების შემთხვევაში აღრიცხავს. სამართალდარღვევის სახით მარიხუანის ფლობის თუ მოხმარებისთვის

¹⁷ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

¹⁸ კონსტიტუციური საჩქელი N 702 - კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁹ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის N3-9-20 წერილი.

მოსამართლის გადაწყვეტილებით უფლებების სამი წლის შეზღუდვის შემთხვევაში მოქალაქე ასევე არ არის უფლებამოსილი, მიმართოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას ჩამორთმეული უფლებების ვადის შემცირების თუ ვადამდე აღდგენის თაობაზე, რადგან კომისია განცხადებებს მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით განიხილავს²¹.

ნარკოტიკულ დანაშაულებზე 2018 წელს პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა 4683 იყო, საიდანაც, სამოქალაქო უფლებები 4542 პირს ჰქონდა შეზღუდული²². გასულ წელს, ნარკოტიკულ დანაშაულებზე 1621 პირს შეეფარდა პირობითი მსჯავრი.²³ ამ პირების მიმართ ავტომატურად გავრცელდება სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის/შეზღუდვის საკანონმდებლო დანაწესი. ამ საკითხზე დამატებითი ანალიზისთვის საჭირო მონაცემები დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ არ მოგვეწოდა.

4. ნარკოლოგიური შემოწმების სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით²⁴, 2018 წელთან შედარებით, მკვეთრად გაზრდილია ნარკოლოგიურ შემოწმებაზე ტესტირებისთვის გადაყვანილ პირთა საერთო რაოდენობა. ასევე, მცირედით არის მომატებული ტესტირებაზე წარდგენილ პირთა შემოწმების დადებითი შედეგის მაჩვენებელი. შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა 36%-ს კი, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი არ დაუდგინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავაც არ აღრიცხავს მონაცემებს ნარკოლოგიურ გამოკვლევაზე წარდგენილ პირთა მიმართ ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების შესახებ.²⁵

²¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 8 იანვრის N2/846 წერილი.


²² EMC, ნარკოპოლიტიკა საქართველოში, გვ. 40.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის N 3-1377-19 წერილი.

²⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოლოგიური შემოწმების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/page?id=256&parent_id=101.

²⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის MIA21900613593 წერილი.

გასული წლის პირველი აპრილიდან, ნარკოტესტირების ახალი წესი ამოქმედდა ავტოტრანსპორტის მძღოლებთან დაკავშირებით.²⁶ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, წესის ამოქმედებიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით, 7 თვის განმავლობაში, ნერწყვის სკრინინგული ტესტის საშუალებით გადამოწმდა 346 მძღოლი, საიდანაც 231 პირი წარდგენილ იქნა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში. წარდგენილ პირთაგან 203 პირს ბიომასალის კვლევით დაუდგინდა დადებითი შედეგი, 188-ს კი - კლინიკურად ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედება.²⁷ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ ავტოტრანსპორტის მძღოლების ნარკოტიკული თრობის ქვეშ ყოფნის გადამოწმების ახალი წესის ამოქმედებას 2019 წლის ნარკოტესტირების მაჩვენებლის ზრდაზე გავლენა არ მოუხდენია, არამედ, ზოგადად, ქუჩის ნარკოტესტირების სტატისტიკა გაიზარდა.



²⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 29 მარტის ერთობლივი N25-N01-30/6 ბრძანება.

²⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 21903217437 წერილი.

5. ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემულ პირთა რაოდენობა

მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობის ან მოხმარების პირველ შემთხვევაში, კანონმდებლობა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აწესებს. სანქციის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელი 500 ლარის ოდენობით ან პატიმრობა 15 დღემდე²⁸.

2018 წლის 30 ნოემბრიდან, ანალოგიური პასუხისმგებლობა ვრცელდება, ცალკე სამართალდარღვევად მოქმედი მცირე ოდენობით მარიხუანის ფლობის ანდა საჯარო სივრცეში მოხმარებისთვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹-მუხლის შესაბამისად.


კანონმდებლობით მარიხუანის მოხმარებასა და ფლობასთან დაკავშირებული ქმედებების სხვა ნარკოტიკული საშუალებებისგან გამიჯვნისა და ცალკე სამართალდარღვევად განსაზღვრის მიუხედავად, საერთო სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის 45-ე და 45¹-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები აღირიცხება ერთობლივად²⁹. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია გაანალიზდეს მარიხუანის თუ სხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სტატისტიკური ინფორმაცია უფრო დეტალურად.

2019 წლის 9 თვის სტატისტიკური მონაცემები არსებითად არ განსხვავდება გასული წლის შედეგებისგან. ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემულია სულ 3472 პირი, რომელთაგან ერთის გარდა, ყველა შემთხვევაში სანქციის სახით გამოყენებულია ჯარიმა³⁰. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის დაწესებული უმცირესი ადმინისტრაციული სახდელი 500 ლარია, 2019 წლის 9 თვეში, სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი ჯარიმის საერთო ოდენობა 1, 736,000 ლარს შეადგენს.

²⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლი.

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის N 3-1379-19 წერილი.

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის N 3-1379-19 წერილი.



II. საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება და მისი პრაქტიკული გამოყენება

1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტაცია

საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 2 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციურ სარჩელზე, რომლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების მიზნით, მცირე ოდენობით, უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის ან/და მოხმარებისთვის³¹ დაწესებული ისეთი სანქციები, როგორიცაა ადმინისტრაციული პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა, კონსტიტუციით გარანტირებული ღირსებისშემლახავი სასჯელის აკრძალვის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა ნარკოტიკული საშუალების, პრეკურსორის, მისი ანალოგის მოხმარების და ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით შეძენის, შენახვისა და

³¹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისთვის - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე დამზადების, შეძენის და შენახვისთვის დაწესებული სანქციები.

დამზადებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის თუ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა კონკრეტული ტიპის ნარკოტიკულ საშუალებებზე.

სასამართლომ იმსჯელა სადავო ნორმებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების სიმძიმისა და გამოყენებული სასჯელის ურთიერთმიმართებაზე და შემოიღო ერთი მოხმარებისთვის საკმარისი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების დამზადების, შეძენის და შენახვის ცნება. სასამართლოს განმარტებით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ქმედების სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, სრულად გამორიცხავს მისი გასაღების და ამ გზით სხვა ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანების რისკებს. სწორედ ამიტომ, გადაწყვეტილებით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ისევე, როგორც მოხმარების განუყოფელ ნაწილად მიჩნეული ერთი მოხმარებისთვის საკმარისი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შეძენა და შენახვა სადავო ნორმებით გათვალისწინებულ სხვა დასჯად ქმედებებთან შედარებით (დამზადება, შეძენა, შენახვა), ყველაზე ნაკლები საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელ ქმედებად იქნა მიჩნეული³².

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და მცირე ოდენობით დამზადების, შეძენის თუ შენახვის ქმედებებისთვის პასუხისმგებლობის ზომად თავისუფლების აღკვეთის (ასევე ადმინისტრაციული პატიმრობის) გამოყენება არ ჩაითვლება საზოგადოებრივი უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად ისეთ ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით, რომელთა მოხმარება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას, აბსტინენციის მდგომარეობის ჩამოყალიბებას ან/და რომელთა ზემოქმედების ქვეშ პირი არ ხდება აგრესიული და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი³³.

გადაწყვეტილებით, დასაშვებად იქნა მიჩნეული სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ისეთი ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შემთხვევაში, რომელიც ადვილად იწვევს შეჩვევას ან რომლის მოხმარების შემთხვევაში პირი ხდება აგრესიული და სჩადის ძალადობრივ ქმედებებს, რადგან ეს შეიცავს რისკებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის³⁴. გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობის თანახმად, აბსტინენციის პირობებში ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლები მიდრეკილი არიან დანაშაულისა თუ

³² გადაწყვეტილების 31-ე პუნქტი.

³³ გადაწყვეტილების 41-ე პუნქტი.

³⁴ გადაწყვეტილების 42-ე პუნქტი.

სხვა ანტისოციალური ქმედებების ჩადენისკენ და შესაბამისად, ამგვარი ნივთიერებების მოხმარებისათვის ან/და აშკარად პირადი მოხმარების მიზნით (მოხმარების ერთი ოდენობა) შეძენისა და შენახვისთვის სასჯელის დაწესება მიზანშეწონილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნის მიღწევისთვის.

სასამართლოს ამგვარი მიდგომა პრობლემურად უნდა შეფასდეს ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლების სტიგმატიზირების თვალსაზრისით. პრობლემურია ისიც, რომ სასამართლო დამატებითი მსჯელობისა და სახელმწიფოს ზრუნვაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების საჭიროებაზე მითითების ნაცვლად, რიგ შემთხვევებში უშვებს ნარკოტიკულ საშუალებაზე დამოკიდებული პირის მიმართ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივით რეპრესიული მექანიზმის - თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების პრაქტიკული გამოყენება

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების გზების თაობაზე საკანონმდებლო ორგანოს შესაბამისი კანონპროექტი ჯერჯერობით არ მოუმზადებია, შესაბამისად, უცნობია, რა მიდგომას აირჩევს პარლამენტი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ადამიანზე გავლენის მოხდენის მიხედვით განსხვავებისა და სასჯელების შესაბამისად განსაზღვრისთვის.

გამოძიების პროცესში გადაწყვეტილების პრაქტიკული აღსრულების თვალსაზრისით, ნარკოტიკული ნივთიერების ადამიანზე გავლენის შეფასების, აბსტინენციის მდგომარეობის რისკების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი პრინციპი, რომლის თანახმად, ბრალდების მტკიცების ტვირთი ბრალმდებელს ეკისრება.³⁵ შესაბამისად, ბრალდების მხარე ვალდებულია, ამტკიცოს როგორც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა, ისე თავად დანაშაულებრივი ქმედების არსებობა და დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების, ინფორმაციის თუ მოსაზრების

³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი.

დაუშვებლობა³⁶. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, კონკრეტული ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ეფექტებზე, ლოგიკურად, საგამომიებო/საპროცესო მოქმედებების ინიციატორ მხარეს უნდა ეკისრებოდეს შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების პრაქტიკაში გამოყენების შესწავლისთვის, EMC დაინტერესდა სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, ახლად გამოვლენილი გარემოებების მოტივით მიღებული განაჩენების შინაარსით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოგვაწოდა სულ ორი გადაწყვეტილება, რომლებშიც მსჯავრდებულები საქმის ხელახალ განხილვას, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე მითითებით ითხოვდნენ.

სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული ერთ-ერთი განაჩენი ეხებოდა მოხმარებისთვის უვარგისი ოდენობით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით, კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საწყისი ოდენობის არარსებობის გამო, მეტამფეტამინის ფლობისთვის 6 წლით თავისუფლებადაკვეთილ პირს³⁷. მსჯავრდებულს წარდგენილი ჰქონდა ექსპერტის დასკვნა, რომელიც ადასტურებდა საქმეში არსებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობის მოხმარებისთვის გამოუსადეგარობის ფაქტს, თუმცა ვერ აფასებდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ზოგად ეფექტებს.

მეორე შემთხვევაში, სსკ-ის 273-ე მუხლით - ნარკოტიკული საშუალება დეზომორფინის მოხმარებისთვის თავისუფლების აკვეთით მსჯავრდებულის მიმართ, სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად სცნო შუამდგომლობა საქმის ხელახალი განხილვის თაობაზე იმ არგუმენტით, რომ მსჯავრდებულმა „სააპელაციო პალატის წინაშე არ წარადგინა არანაირი სახის დოკუმენტი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის ან ორგანოს დასკვნა, შესაბამისად ის სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე ვერ ასაბუთებს, მის მიერ მოხმარებული

³⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 55.

³⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 16 აგვისტოს განაჩენი.

ნარკოტიკული საშუალება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას, როგორც ეს განსაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლომ³⁸.

მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის განზოგადება მხოლოდ ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე რთულია, მკაფიოდ გამოვლინდა სააპელაციო სასამართლოს მიდგომა საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების სიტყვასიტყვითი განმარტების და მტკიცების ტვირთის მსჯავრდებულებზე გადატანასთან დაკავშირებით. ერთ შემთხვევაში, სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი არგუმენტაცია მოხმარებისთვის უვარგისი ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის არ გაავრცელა მსჯავრდებულის მიმართ იმ დასაბუთებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ სსკ-ის 273-ე მუხლთან დაკავშირებით მსჯელობდა, შესაბამისად, ავტომატურად გამოირიცხა სსკ-ის 260-ე მუხლთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე მსჯელობა. მეორე შემთხვევაში, სასამართლომ მტკიცების ტვირთი და ექსპერტის დასკვნის წარდგენა მსჯავრდებულის მიერ მოხმარებული ნარკოტიკული საშუალების ეფექტებისა და მოხმარების შედეგად დამოკიდებულების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მსჯავრდებულს დააკისრა, რაც ასევე პრობლემურად უნდა შეფასდეს.

III. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ნარკოტიკულ დანაშაულებზე (ნარკოტიკული საშუალების მოხმარების, შეძენის და შენახვის თაობაზე) სასამართლო პრაქტიკის შეფასებისთვის, EMC-მ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებიდან³⁹ გამოითხოვა 2019 წელს მიღებული გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენები. ანგარიშის მიზნებისთვის, მთლიანობაში დამუშავდა სასამართლოს არსებითი წესით განხილვის შედეგად მიღებული 40 გადაწყვეტილება.

³⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 11 სექტემბრის განაჩენი.

³⁹ EMC-მ მიმართა თბილისის, რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებს, ასევე ქუთაისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოებს, სსკ-ის 260-ე, 261-ე, 262-ე, 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე საქმის არსებითად განხილვის შედეგად 2019 წელს მიღებული 2 გამამართლებელი და 2 გამამტყუნებელი განაჩენის გადაცემის მოთხოვნით. სასამართლოებისგან არასრულად მოგვეწოდა აღნიშნული ინფორმაცია, რომელთა უმეტესობა ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და შენახვის საქმეებს უკავშირდებოდა.

ხსენებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მიდგომა და მტკიცებულებითი სტანდარტი ნარკოტიკული საშუალების შემენა-შენახვის საქმეებზე არსებითად არ შეცვლილა.

წლების განმავლობაში დამკვირდებული პრაქტიკით, პოლიციელთა ჩვენებები, ჩხრეკის ოქმი და ნარკოტიკული საშუალების ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას წარმოადგენს. 2018 წლის მსგავსად⁴⁰, 2019 წელს გაანალიზებული განაჩენებიდან ერთ შემთხვევაში გამოიკვეთა სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის წესით მიღებული გამამართლებელი განაჩენის გამამტყუნებლით შეცვლა.

კვლავაც პრობლემატურია ნარკოტიკული დანაშაულის საქმეებში ნეიტრალურ მტკიცებულებების არსებობა, ისევე, როგორც სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა ნარკოტიკულ დანაშაულებში ბიოლოგიურ-გენეტიკური ექსპერტიზის შეფასებასთან დაკავშირებით.

1. ოპერატიული ინფორმაცია

ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების მთავარ საფუძველს, 2019 წლის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, კვლავაც ოპერატიული ინფორმაცია წარმოადგენს.

გასული წლის დამუშავებული განაჩენები აჩვენებს სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემენა-შენახვის საქმეებზე, როდესაც პოლიციის თანამშრომლის მიერ ოპერატიული ინფორმაციის მიღებას პატაკის შედგენა და მის საფუძველზე მთავარი საგამოძიებო მოქმედების - პირადი ჩხრეკის ჩატარება მოყვება. ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციის თანამშრომელი, დამუშავებულ განაჩენებში, სასამართლოზე მოწმის სახით, მიღებული ინფორმაციის წყაროს გამხელის გარეშე იკითხება, რასაც, საბოლოოდ, პოლიციელთა სხვა ჩვენებებთან ერთად, გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნება.

EMC, ნარკოპოლიტიკა საქართველოში - შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები, 2019, გვ. 50, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2REkhfd>.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან არც ერთ შემთხვევაში, მათ შორის გამამართლებელი განაჩენების მიღების დროსაც, არც მხარეთა და არც სასამართლოს მიერ არ არის გამოკვლეული ოპერატიული ინფორმაციის ნამდვილობის თუ წყაროსთან დაკავშირებული საკითხები.

2. პირადი ჩხრეკის ოქმი

ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის პირის ბრალეულობის გადაწყვეტისას, სასამართლოს გასული წლის პრაქტიკა უწინდებურად, პირადი ჩხრეკის ოქმს ეყრდნობა. გამამტყუნებელ განაჩენთა უმეტესობაში, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პირადი ჩხრეკის ოქმსა და პოლიციის თანამშრომელთა ზეპირ ჩვენებებს შორის შესაბამისობის დადგენაზე. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ „სსკ-ის 260-ე მუხლით განსაზღვრული საქმის მტკიცებულებით სპეციფიკას, ნარკოტიკული დანაშაულის საქმეებისთვის წონად და ერთ-ერთ არსებით მტკიცებულებას წარმოადგენს ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკასთან დაკავშირებული პროცედურები. არსებითია ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის პროცესი არ ბადებდეს გონივრულ ეჭვს ობიექტური დამკვირვებლისთვის ამ საგამომიებო მოქმედების კანონიერებასთან მიმართებით.“⁴¹

შესწავლილი განაჩენებიდან ერთ შემთხვევაში, პოლიციელთა ჩვენებებს შორის წინააღმდეგობების მოტივით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გამამართლებელი განაჩენი გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ იმ არგუმენტზე მითითებით, რომ სააპელაციო სასამართლოს არავითარი ეჭვის საფუძველი არ გააჩნდა პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებების სანდოობასთან მიმართებით, რადგან ისინი გარდა იმისა, რომ თანმიმდევრულია ერთმანეთთან, ასევე სრულ თანხვედრაშია საქმის სხვა მტკიცებულებებთან, კერძოდ – პირადი ჩხრეკის ოქმთან, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნასთან⁴². გადაწყვეტილება პრობლემურია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ, ბრალდებულის მიერ სადავოდ გახდილი გარემოებების საპირწონედ, დამატებითი დასაბუთების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებისა და მათ

⁴¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის განაჩენი.

⁴² ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

მიერვე შევსებული პირადი ჩხრეკის ოქმის საფუძველზე, პირს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

გასული წლის სასამართლო პრაქტიკა უცვლელია იმ თვალსაზრისითაც, რომ პირის ბრალეულობის დადგენისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულის მიერ პირადი ჩხრეკის ოქმის ხელმოწერით დადასტურებას. ამ შემთხვევაში, დაცვის მხარის ალტერნატიული პოზიცია საქმეში არსებული შესაძლო კანონდარღვევების შესახებ, სასამართლოს მეტწილად არადამაჯერებლად მიაჩნია.

3. ჩხრეკის მოწმე პოლიციელები და სხვა პირები

ნარკოტიკულ დანაშაულებზე წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მიდგომით, გამამტყუნებელი განაჩენისთვის მთავარ მოწმეებს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პოლიციის თანამშრომლები წარმოადგენენ. გასულ წელს მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები აღნიშნული ტენდენციის გაგრძელებაა და საქმეში მონაწილე ნეიტრალური მოწმეების არარსებობის პირობებში, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის თაობაზე პოლიციელთა ჩვენებებს ეფუძნება.

სამართალდამცავებისგან განსხვავებით, 2019 წლის დამუშავებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში, კვლავაც იშვიათობაა ნეიტრალური მოწმეების თუ ნეიტრალური მტკიცებულებების (ვიდეოჩანაწერები) არსებობა.

ნარკოტიკულ დანაშაულებში წლების განმავლობაში პრობლემად რჩება მოწმის სახით დაკითხულ პოლიციელთა ჩვენებების გაბათილება დაცვის მხარის მიერ, იმ პირობებში, თუ პირის ჩხრეკა მოწმეთა თვალთახედვის ან ვიდეოკამერების გარეშე მოხდა. საგულისხმოა, რომ გასული წლის გადაწყვეტილებებიდან ყველა გამამართლებელი განაჩენი სასამართლომ ნეიტრალური მოწმეების, ჩხრეკის მომსწრე პირების ჩვენებებს დააყრდნო.⁴³

⁴³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 თებერვლის განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის განაჩენი.

4. ბიოლოგიურ-გენეტიკური ექსპერტიზა

წინა წლების მსგავსად, 2019 წლის გაანალიზებული გადაწყვეტილებებში იშვიათად გვხვდება ბიოლოგიურ-გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნები, რაც დამატებით ინფორმაციას იძლევა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებასთან მის ფიზიკურ კონტაქტზე.

გაანალიზებული გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთ საქმეზე, სასამართლომ არ გაიზიარა ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ბრალდებულის გენეტიკური კვალის ნარკოტიკული ნივთიერების შესანახ საშუალებაზე აღმოჩენასთან დაკავშირებით იმ მიზეზით, რომ ბრალდებული მისგან ექსპერტიზის ნიმუშის იძულებით და უკანონოდ აღებაზე მიუთითებდა. სასამართლოსთვის ბრალდებულის ამ პოზიციასთან ერთად, მტკიცებულების ამორიცხვის მთავარ საფუძველს ჩხრეკის ადგილიდან ამოღებული ვიდეო ჩანაწერის პირადი ჩხრეკის ოქმსა და მოწმე დეტექტივ-გამომძიებლების ჩვენებებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან წინააღმდეგობა ერთობლიობაში წარმოადგენდა.⁴⁴

შეჯიბრებითი პროცესის პირობებში, ბრალდების მხარის მიერ ამ ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმა არ გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ ბიოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესაძლებლობას. გაანალიზებული გადაწყვეტილებებიდან, ერთეულ შემთხვევებში მოიპოვება სისხლის სამართლის საქმეში ამ ტიპის მტკიცებულება და არც ერთ შემთხვევაში, იგი დაცვის მხარის მიერ წარდგენილი არ არის. შესაძლოა, ამის მიზეზი, ექსპერტიზის ჩატარებისთვის საჭირო დამატებითი ფინანსების არქონას უკავშირდებოდეს.

IV. დასკვნა

2019 წლის ნარკოვითარების შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გასულ წელს ნარკოპოლიტიკის სფეროში არსებითი ცვლილებების თვალსაზრისით, სახელმწიფო კვლავ უმოქმედოა. ხელისუფლებას არც ერთ სამუშაო ფორმატში არ წარმოუდგენია საკუთარი ხედვა ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმირებისა და პარლამენტში წარდგენილი შესაბამისი კანონპროექტის განხილვის გეგმებთან დაკავშირებით. ამის ფონზე, არსებული კანონმდებლობა განსაკუთრებით მძიმედ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ნარკოდანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირებზე მოქმედებს.

⁴⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის განაჩენი.

საანგარიშო პერიოდში, გასულ წელთან შედარებით, რიგ საკითხებზე, მათ შორის, ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის, ნარკოტესტირებაზე გადაყვანილ პირთა რაოდენობის, საპროცესო შეთანხმებით საქმეთა დასრულების მაჩვენებლების ზრდა შეინიშნება. უცვლელად მოქმედებს ნარკოდანაშაულებზე მსჯავრდებულთა მიმართ სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის მექანიზმი, რაც, სასჯელის მოხდის შემდგომაც, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ამ პირთა გარიყვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საერთო სასამართლოები განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც, 2019 წლის 2 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტებაშიც გამოვლინდა. პრობლემური იყო სააპელაციო სასამართლოს მიდგომა გადაწყვეტილების საფუძველზე საქმის ხელახალი განხილვასთან დაკავშირებით, როდესაც მტკიცების ტვირთი ნარკოტიკული საშუალებების ადამიანზე კონკრეტული ზეგავლენის შესახებ, ბრალდების მხარის ნაცვლად, მსჯავრდებულებს დაეკისრა.

2019 წლის სასამართლოს პრაქტიკა ასევე უცვლელია ნარკოტიკულ დანაშაულებზე, რომელთა განხილვისას პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები განსაკუთრებული სანდოობით სარგებლობს და გამამტყუნებელი განაჩენის მიღებისთვის დაბალ მტკიცებულებით სტანდარტს ეყრდნობა.